

საკონკურსო განცხადება სსიპ - საქართველოს  
სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული  
სააგენტოს შენობის საპროექტო  
დოკუმენტაციის შექმნისათვის კონკურსის  
გამოცხადების შესახებ

"ყოვლისმომცველი ინსტიტუციონალური განვითარების  
პროგრამა CIB, პროექტი ENPI/2012/301-051"

## სარჩევი

|                                                             |          |
|-------------------------------------------------------------|----------|
| <b>1 შესავალი</b>                                           | <b>2</b> |
| <b>2 ტერმინები და განმარტებები</b>                          | <b>2</b> |
| <b>3 შესყიდვის საგანი</b>                                   | <b>2</b> |
| <b>4 პროექტის აღწერილობა</b>                                | <b>2</b> |
| 4.1 დამკვეთი                                                | 3        |
| 4.2 დამკვეთის მიზნები                                       | 3        |
| 4.3 პროექტის ფაზები                                         | 3        |
| <b>5 ტექნიკური დავალება</b>                                 | <b>3</b> |
| <b>6 წინადადების დეტალები</b>                               | <b>3</b> |
| 6.1 ზოგადი დეტალები                                         | 3        |
| 6.2 წინადადების წარმოდგენა                                  | 3        |
| 6.3 მოთხოვნები, გამოხმაურებები, დაზუსტებები და ცვლილებები   | 4        |
| 6.4 კონფერენცია კონკურსის მიმდინარეობისას                   | 4        |
| 6.5 ვიზიტი სამშენებლო მოედანზე                              | 4        |
| 6.6 კონკურსში მონაწილეობის ღირებულება                       | 4        |
| 6.7 წინადადების ღირებულება                                  | 4        |
| 6.8 დოკუმენტებზე საკუთრების უფლება და კონფიდენციალურობა     | 5        |
| 6.9 დოკუმენტაციის ენა                                       | 5        |
| 6.10 გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა                    | 5        |
| <b>7 წარსადგენი ინფორმაცია</b>                              | <b>7</b> |
| <b>8 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი</b> | <b>8</b> |
| დანართი 1 (ტექნიკური დავალება)                              | 9        |
| დანართი 2 (RIBA სამუშაო გეგმის მონახაზი 2007)               | 10       |
| დანართი 3 (საკონკურსო წინადადების ფორმა)                    | 11       |
| დანართი 4 (ინფორმაცია კონკურსანტის გამოცდილების შესახებ)    | 12       |
| დანართი 5 (პერსონალის რეზიუმე)                              | 13       |
| დანართი 6 (კონკურსანტის რეკვიზიტები)                        | 14       |
| დანართი 7 (ხელშეკრულების პროექტი)                           | 15       |

## 1 შესავალი

დოკუმენტში მოცემულია ყველა აუცილებელი ინფორმაცია, რომელიც საჭიროა კონკურსანტის მიერ სრულყოფილი და დამკვეთის მოთხოვნების შესაბამისი საკონკურსო წინადადების წარმოსადგენად

## 2 ტერმინები და განმარტებები

| ტერმინი | LMC<br>CSC | განმარტება                                                                       |
|---------|------------|----------------------------------------------------------------------------------|
| RIBA    | N/A        | Royal Institute of British Architects, ბრიტანელ არქიტექტორთა სამეფო ინსტიტუტი    |
| CIB     | N/A        | comprehensive institution building / ყოვლისმომცველი ინსტიტუციონალური განვითარება |

## 3 შესყიდვის საგანი

კონკურსის შესყიდვის საგანს წარმოადგენს ჩარგლის ქუჩა # 67-ში მდებარე, საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს საკუთრებაში არსებული 8 სართულიანი შენობის რეაბილიტაციისთვის საჭირო საპროექტო სამუშაოები.

საპროექტო სამუშაოების ქვეშ იგულისხმება:

1. არსებული შენობის აზომვითი სამუშაოები
2. არქიტექტურული საპროექტო სამუშაოები (მოიცავს შენობის ინტერიერს და ფასადებს)
3. საინჟინრო სისტემების საპროექტო სამუშაოები
4. ინტერიერის დიზაინის საპროექტო სამუშაოები
5. შენობის რეაბილიტაციის დეტალური ხარჯთაღრიცხვის მომზადება
6. ნებართვის მოპოვებაში დამკვეთის მხარდაჭერა
7. ზემოთ ჩამოთვლილი საპროექტო ღონისძიებების სრულ კოორდინაციას

## 4 პროექტის აღწერილობა

პროექტის დასახელება: "ყოვლისმომცველი ინსტიტუციონალური განვითარების პროგრამა CIB, პროექტი ENPI/2012/301-051"

აღწერილობა: წინამდებარე პროექტი ემსახურება საქართველოში მეტროლოგიისა და სტანდარტიზაციის სისტემის გაუმჯობესებას ევროკავშირის ქვეყნებში არსებული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. პროექტის ფარგლებში, სხვა ღონისძიებებთან ერთად უნდა მოხდეს შემსყიდველის უკვე ფუნქციონირებადი შენობის (8 სართული) რეაბილიტაცია და ამ მიზნის მისაღწევად საჭირო დეტალური პროექტის მომზადება, რომელიც მოახდენს შენობის არსებული მდგომარეობის და მის მოდიფიცირების დეტალურ ასახვას.

მდებარეობა: თბილისი, ჩარგლის ქ. N67

#### 4.1 დამკვეთი

სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო

#### 4.2 დამკვეთის მიზნები

დამკვეთის მთავარი კრიტერიუმები: არსებული ფართი ეფექტურად უნდა იყოს ათვისებული, მომზადებული საპროექტო დოკუმენტაცია უნდა იყოს დადგენილი ბიუჯეტის და დამტკიცებულ ვადების შესაბამისი. პროექტის ფარგლებში მისაღწევი შედეგების შესახებ ინფორმაცია იხილეთ დანართი 1 (ტექნიკური დავალება) -ის 3.2 მუხლში.

#### 4.3 პროექტის ფაზები

პროექტის ფაზები ეყრდნობა “RIBA სამუშაო გეგმის მონახაზი 2007”-ს.

აღნიშნული სამუშაო გეგმის მონახაზი ორგანიზებას უკეთებს მართვის პროცესს და სამშენებლო პროექტის დიზაინს, აგრეთვე ადმინისტრირებას უწევს სამშენებლო კონტრაქტებს სხვადასხვა ძირითად სამუშაო ფაზებში. სამუშაო გეგმა იხ. “დანართი 2 (RIBA სამუშაო გეგმის მონახაზი 2007) .

საპროექტო მომსახურება უნდა შესრულდეს “RIBA სამუშაო გეგმის მონახაზი 2007”-ს შესაბამისად.

### 5 ტექნიკური დავალება

შესასრულებელი სამუშაო მოცულობა და შესაბამისი ტექნიკური დავალება ორიენტირებულია პროექტის ფარგლებში მისაღწევ შედეგებზე. ტექნიკური დავალება საპროექტო სამუშაოებზე მოიცავს საპროექტო გუნდის მიერ შესასრულებელ აქტიურობებს, შენობის მიმართ საპროექტო მიზნებს და მიღწევად შედეგებს. დეტალური ინფორმაციისთვის იხ. დანართი 1 (ტექნიკური დავალება).

### 6 წინადადების დეტალები

#### 6.1 ზოგადი დეტალები

დამკვეთი ყოვლისმომცველი ინსტიტუციონალური განვითარების პროგრამის CIB, ENPI/2012/301-051 პროექტის ფარგლებში აცხადებს კონკურსს საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე. კონკურსი ტარდება „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანების საფუძველზე.

#### 6.2 წინადადების წარმოდგენა

წინადადებების უნდა იქნეს წარმოდგენილი სრულყოფილად საკონკურსო განცხადების მე-7 მუხლის შესაბამისად, საკონკურსო განცხადებაში და თანმხლებ დოკუმენტაციაში მითითებული მოთხოვნების გათვალისწინებით.



საპარამეტრო  
სტანდარტები  
და მეთოდები

საკონკურსო წინადადებები უნდა იქნეს წარმოდგენილი შემსყიდველ ორგანიზაციაში ორიგინალი დოკუმენტაციის და ელექტრონული სახით CD დისკზე, შემდეგ მისამართზე: თბილისი, ჩარგლის ქ. N67, 1-ლი სართული, ოთახი N101, არაუგვიანეს საკონკურსო წინადადებების წარდგენის ვადისა: 3 ოქტომბერი 2013წ, 18:00 სთ.

საკონკურსო წინადადების წარდგენა, გულისხმობს კონკურსანტის მხრიდან მოცემულ დოკუმენტში და თანხლებ დოკუმენტაციაში აღნიშნულ პირობებზე თანხმობას.

საკონკურსო განცხადებასთან დაკავშირებულ საკითხებზე საკონტაქტო პირი: დავით ტყეშელაძე, ტელ: 579779077

### 6.3 მოთხოვნები, გამოხმაურებები, დაზუსტებები და ცვლილებები

საკონკურსო განცხადებასთან დაკავშირებული კითხვები მიიღება საკონკურსო წინადადებების მიღების ვადის დასრულებამდე არაუგვიანეს 3 დღისა.

### 6.4 კონფერენცია კონკურსის მიმდინარეობისას

საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მოეწყოს შეხვედრები დამკვეთის, პროექტის მენეჯერ/კოორდინატორის და კონკურსანტის მონაწილეობით, რომ უზრუნველყოფილი იქნეს საკონკურსო განცხადებაში მოცემული დოკუმენტაციის მაქსიმალური აღქმა და გაუგებარი საკითხების მინიმიზაცია.

### 6.5 ვიზიტი სამშენებლო მოედანზე

კონკურსანტებს შეუძლიათ მოინახულონ სამშენებლო ობიექტი, რომელიც წარმოადგენს დაცულ ტერიტორიას და კონკურსანტმა, რომელსაც სურს ობიექტზე ვიზიტი, წინასწარ უნდა გააფრთხილოს შემსყიდველი ორგანიზაცია აღნიშნულის შესახებ.

სამშენებლო მოედანზე ვიზიტისას, კონკურსანტებმა უნდა გამოიჩინონ სიფრთხილე, დაიცვან უსაფრთხოების ყველა მიღებული ნორმა და გაითვალისწინონ წინასწარ გაცემული გაფრთხილებები.

### 6.6 კონკურსში მონაწილეობის ღირებულება

თითოეულმა კონკურსანტმა თავად უნდა აანაზღაუროს კონკურსში მონაწილეობის ღირებულება „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანების მე-6 მუხლის შესაბამისად. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს ამ წესის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამ წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

### 6.7 წინადადების ღირებულება

საკონკურსო წინადადება უნდა იყოს წარმოდგენილი ლარში.

ხელშეკრულების მაქსიმალური ღირებულება არის 111000 ლარი, რომელიც წარმოადგენს ENPI/2012/301-051 გრანტის კონტრაქტით განსაზღვრული ბიუჯეტით (ევროკავშირის 2013 წლის 13 სექტემბრის N00787 წერილის შესაბამისი ვერსია) გათვალისწინებულ ოდენობას და არ მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს. აღნიშნულ ღირებულებაზე მაღალი საკონკურსო წინადადებები არ ექვემდებარება განხილვას.

იქიდან გამომდინარე, რომ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, საქართველოს მთავრობასა და ევროპის გაერთიანებათა კომისიას შორის 2007 წლის 18 ივნისს ხელმოწერილი ჩარჩო შეთანხმების თანახმად, პროექტი ENPI/2012/301-051 შეტანილია საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად საგადასახადო შეღავათით მოსარგებლე პირთა ერთიან ელექტრონულ რეესტრში, რაც გულისხმობს შემსყიდველის დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდისგან გათავისუფლებას, შესაბამისად საკონკურსო წინადადება უნდა იქნეს წარმოდგენილი ღირს-ს გარეშე.

კონკურსანტის ფინანსური წინადადება და ინფორმაცია კონკურსანტის პერსონალის ანაზღაურების შესახებ (რომელიც გამოყენებული იქნება სამუშაო მოცულობის ცვლილების შემთხვევაში) უნდა იქნეს წარმოდგენილი დანართი 3 (საკონკურსო წინადადების ფორმა) - ში მოცემულ ფორმატში.

## 6.8 დოკუმენტებზე საკუთრების უფლება და კონფიდენციალურობა

კონკურსანტის მიერ მონაწილეობის ყველა დოკუმენტაცია იქნება დამკვეთის საკუთრება, მათი გამოყენების შეზღუდვის გარეშე.

## 6.9 დოკუმენტაციის ენა

საკონკურსო წინადადება და ყველა რელევანტური კორესპონდენცია უნდა იქნეს წარმოებული ქართულ ენაზე.

საპროექტო დოკუმენტაცია უნდა იქნეს წარმოებული ქართულ და ინგლისურ ენაზე.

## 6.10 გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა

საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა მოხდება საკონკურსო კომისიის მიერ, საკონკურსო პირობებით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად. შეფასების წინაპირობა: საკონკურსო წინადადება არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მაქსიმალურ ღირებულებას 111000 ლარს.

საკონკურსო წინადადებების შეფასება მოხდება 10 ქულიანი სისტემით, შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით და პრიორიტეტულობის კოეფიციენტის მიხედვით:

| # | შეფასების კრიტერიუმი                                                                                                                                                | 10 ქულიანი შეფასების პრინციპი                                                                                                                            | პრიორიტეტულობის კოეფიციენტი |
|---|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------|
| 1 | კონკურსანტის გამოცდილება პროექტში, რომლის დამკვეთს წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაცია და რომელიც განხორციელებულია საერთაშორისოდ აღიარებული სამუშაოების შესრულების | კონკურსანტის ქულა განისაზღვრება მის მიერ შესრულებული პროექტების რაოდენობის შეფარდებით კონკურსანტთა შორის შესრულებული პროექტების მაქსიმალურ რაოდენობასთან | 0.2                         |

|   |                                                                                              |                                                                                                                                                                                                                    |      |
|---|----------------------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------|
|   | მეთოდოლოგიის მიხედვით. (მაგ. „RIBA-სამუშაო გეგმის მონახაზი 2007“)                            | და 10-ზე გამრავლებით.                                                                                                                                                                                              |      |
| 2 | კონკურსანტის გამოცდილება მსგავსი ტიპის პროექტში                                              | კონკურსანტის ქულა განისაზღვრება მის მიერ შესრულებული პროექტების რაოდენობის შეფარდებით კონკურსანტთა შორის შესრულებული პროექტების მაქსიმალურ რაოდენობასთან და 10-ზე გამრავლებით.                                     | 0.2  |
| 3 | სარეკომენდაციო წერილი საერთაშორისო დამკვეთისგან                                              | კონკურსანტის ქულა განისაზღვრება კონკურსანტის სარეკომენდაციო წერილების რაოდენობის შეფარდებით კონკურსანტთა შორის სარეკომენდაციო წერილების მაქსიმალურ რაოდენობასთან და 10-ზე გამრავლებით.                             | 0.05 |
| 3 | კონკურსანტის საკონკურსო წინადადების ფასი                                                     | კონკურსანტის ქულა განისაზღვრება კონკურსანტის საკონკურსო წინადადების ფასის შეფარდებით კონკურსანტთა შორის საკონკურსო წინადადების მინიმალურ ფასთან, მიღებული შედეგი აკლდება 2-ს და მრავლდება 10-ზე.                   | 0.1  |
| 4 | კონკურსანტის მიერ მოწოდებული სამუშაოს შესრულების შესაბამისობა გენერალურ კალენდარულ გრაფიკთან | კონკურსანტის ქულა განისაზღვრება წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკის დღეთა რაოდენობის შეფარდებით კონკურსანტთა კალენდარულ გრაფიკებს შორის დღეთა მინიმალურ რაოდენობაზე. მიღებული შედეგი აკლდება 2-ს და მრავლდება 10-ზე. | 0.2  |
| 6 | კონკურსანტის მიერ გასაწევი მომსახურების აღსრულების გეგმა (Project Execution Plan)            | შეფასება მოხდება კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი აღსრულების გეგმის და შესაბამისი ელემენტების ინფორმაციის ადეკვატურობის ხარისხის მიხედვით                                                                            | 0.25 |

10 ქულიანი სისტემიდან მინიჭებული ქულა მრავლდება პრიორიტეტულობის

კოეფიციენტზე. კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება თუ მას საკონკურსო კომისიის მიერ, ზემოაღნიშნული პრინციპით მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა.

გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ წერილობითი შეტყობინების სახით ეცნობება შესაბამის კონკურსანტს და მოხდება ხელშეკრულების გაფორმება.

წარუმატებელი კონკურსანტების მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია რჩება დამკვეთის საკუთრებაში და არ მოხდება მათი უკან დაბრუნება.

## 7 წარსადგენი ინფორმაცია

კონკურსანტმა საკონკურსო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან
- ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადალის) არარსებობის შესახებ
- ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია
- საკონკურსო წინადადების შევსებული ფორმა “დანართი 3 (საკონკურსო წინადადების ფორმა)”-ის შესაბამისად
- კონკურსანტის მომსახურების განვების პროცესში ჩართული პერსონალის რეზიუმეები, “დანართი 5 (პერსონალის რეზიუმე)”-ის შესაბამისად
- ინფორმაცია კონკურსანტის გამოცდილების შესახებ “დანართი 4 (ინფორმაცია კონკურსანტის გამოცდილების შესახებ)”-ის შესაბამისად. ხელშეკრულებების და მიღება-ჩაბარების აქტების ასლებით.
- რეკვიზიტები “დანართი 6 (კონკურსანტის რეკვიზიტები)”-ის შესაბამისად
- დიზაინის (პროექტირების) კალენდარული გრაფიკი, თითოეულ ეტაპზე შესასრულებელი სამუშაოების გაშიფვრით დანართი 1 (ტექნიკური დავალება) - ის შესაბამისად.
- წერილობითი და სათანადო წესით დამოწმებული, მინიმუმ 3 სარეკომენდაციო წერილი იმ პირებისაგან, რომლისთვისაც კონკურსანტმა შეასრულა მოცემულ დოკუმენტში და თანმხლებ დოკუმენტაციაში განსაზღვრული სამუშაო მოცულობის იდენტური ან მსგავსი სამუშაო ან/და დამკვეთი იყო საერთაშორისო ორგანიზაცია. განიხილება მხოლოდ ის სარეკომენდაციო წერილები, რომელსაც თან ერთვის რეკომენდატორის დაკვეთით შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
- საკონკურსო განცხადებაში და თანმხლებ დოკუმენტაციაში განსაზღვრული გასაწევი მომსახურების აღსრულების გეგმა (Project Execution Plan), მათ შორის:
  - ინფორმაცია სამუშაოების შესრულების მეთოდოლოგიის შესახებ;



საპარამეტროს  
სტანდარტები  
და მეთოდოლოგია

- ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც ასახავს სამუშაოების შესრულებაში მონაწილე ყველა მხარეს;
- ინფორმაცია კონკურსანტის ტექნიკისა და პროგრამული უზრუნველყოფის შესახებ, რომელიც სამუშაოების შესასრულებლად იქნება გამოყენებული;
- ქვეკონტრაქტორების ჩამონათვალი, რომელსაც დაიქირავენ კონკურსანტი სამუშაოების შესრულების მიზნით. თითოეულისთვის დელეგირებადი სამუშაო მოცულობის და მათი გამოცდილების მითითებით “დანართი 4 (ინფორმაცია კონკურსანტის გამოცდილების შესახებ)”-ის შესაბამისად). ქვეკონტრაქტორის სარეგისტრაციო დოკუმენტები.
- ხარისხის უზრუნველყოფის და ხარისხის კონტროლის დეტალური ანგარიში დანართი 1 (ტექნიკური დავალება) - ის შესაბამისად.

## 8 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

კონკურსანტის შერჩევის შემდეგ მასთან გაფორმდება ხელშეკრულება. ხელშეკრულების პროექტი იხილეთ “დანართი 7 (ხელშეკრულების პროექტი)”-ში, რომელიც შესაძლოა შეიცვალოს უმნიშვნელოდ. ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი იქნება დანართი 1 (ტექნიკური დავალება), დანართი 3 (საკონკურსო წინადადების ფორმა), კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი დიზაინის (პროექტირების) კალენდარული გრაფიკი და გასაწევი მომსახურების აღსრულების გეგმა.



სამართაშელის  
სტანდარტები  
და მეთოდოლოგია

ყოვლისშომცველი ინსტიტუციონალური განვითარების  
პროგრამა CIB, პროექტი ENPI/2012/301-051  
საკონკურსო განცხადება



## დანართი 1 (ტექნიკური დავალება)



საქართველოს  
სტანდარტები  
და მეტროლოგია

ყოვლისმომცველი ინსტიტუციონალური განვითარების  
პროგრამა CIB, პროექტი ENPI/2012/301-051  
საკონკურსო განცხადება



## დანართი 2 (RIBA სამუშაო გეგმის მონახაზი 2007)



სამართავი  
სტანდარტები  
და მეთოდოლოგია

ყოვლისმომცველი ინსტიტუციონალური განვითარების  
პროგრამა CIB, პროექტი ENPI/2012/301-051  
საკონკურსო განცხადება



### დანართი 3 (საკონკურსო წინადადების ფორმა)



საქართველოს  
სტანდარტები  
და მეთოდოლოგია

ყოვლისმომცველი ინსტიტუციონალური განვითარების  
პროგრამა CIB, პროექტი ENPI/2012/301-051  
საკონკურსო განცხადება



## დანართი 4 (ინფორმაცია კონკურსანტის გამოცდილების შესახებ)



სამართაშელის  
სტანდარტები  
და მეთოდოლოგია

ყოვლისშომცველი ინსტიტუციონალური განვითარების  
პროგრამა CIB, პროექტი ENPI/2012/301-051  
საკონკურსო განცხადება



## დანართი 5 (პერსონალის რეზიუმე)



სამართაშელის  
სტანდარტები  
და მეთოდოლოგია

ყოვლისშომცველი ინსტიტუციონალური განვითარების  
პროგრამა CIB, პროექტი ENPI/2012/301-051  
საკონკურსო განცხადება



## დანართი 6 (კონკურსანტის რეკვიზიტები)



საქართველოს  
სტანდარტები  
და მეტროლოგია

ყოვლისმომცველი ინსტიტუციონალური განვითარების  
პროგრამა CIB, პროექტი ENPI/2012/301-051  
საკონკურსო განცხადება



## დანართი 7 (ხელშეკრულების პროექტი)